სერგეენკოს ტყუილი:
ჯანდაცვის სამინისტრო მარტოხელა პენსიონერთათვის საარსებო შემწეობის მოხსნას აგრძელებს

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს საჯარო დაპირება - რომ საარსებო შემწეობა აღუდგებოდა ყველა პენსიონერს, რომელსაც დახმარება მისი არასწორი პოლიტიკის გამო მოეხსნა - ისევე განუხორციელებელი დარჩა, როგორც ბიძინა ივანიშვილის ყველა სხვა დაპირება.

უფრო მეტიც, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ პენსიონერთათვის საარსებო შემწეობის მოხსნის პროცესი არც გაჩერებულა. გუშინ, 2016 წლის 20 აპრილს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე დავით სერგეენკომ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ პრობლემა გამოსწორდა.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტრომ საარსებო შემწეობა მოუხსნა 30,000 პენსიონერს, რომელთაგან ნახევარზე მეტი მარტოხელაა და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. 70 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეების რიცხვი, რომელიც საარსებო შემწეობას იღებს, 515-ით შემცირდა მას შემდეგ, რაც 2015 წლის ზაფხულში დავით სერგეენკომ პენსიონერებისათვის საარსებო შემწეობის აღდგენის პირობა დადო.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ივანიშვილის მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო სულ უფრო მეტი და მეტი ოჯახი ვარდება უკიდურეს სიღარიბეში, როდესაც გაძვირებულია სურსათი და წამალი ანუ პენსიონერების ძირითადი მოხმარების პროდუქტი. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნის სამართლიანობას, რომ პენსია 50 ლარით უნდა გაიზარდოს.